ცნობის ფურცელი

№ 1713 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 ხუთშაბათი, 31 იანვარი № 1713

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა—უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“ ტელეფონი № 372.

კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი, ნინო ბექანის ასული ყიფიანისა, ელისაბედ ნიკოლოოზის ასული სულხანიშვილისა, ბარბარე და ნინო ნიკოლოოზის ასულნი ყიფიანისანი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—დედისას, მეორე—დედამთილისას და მესამენი დიდი-დედისას

ნინო იავერის ასულის ყიფიანისას

სოფელ ქვიშხეთში. პარასკევს, 1-ლ თებერვალს, დილის 10 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი და შემდეგ მიცვალებულს წაასვენებენ მთაწმინდის ეკლესიაში დასაკრძალავად. (1—1)

დღეს, 31 იანვარს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, 12 საათზე, უგანათლებულესის თავადის

გრიგოლ ლევანის ძის დადიანის

გარდაცვალების მე-40 დღეს გარდახდილ იქნება პანაშვიდი. (1—1)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 31 იანვარს, 1902 წელს

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

სპ. პ. სვიმონიძის საბენეფისოდ

პირველად ახალი პიესა

სოდომის წარღვნა

დრამა 5 მოქ. ზუდერმანისა, თარგ. გველესიანისა

მონაწილეობენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, კარგარეთელი, ლეჟავა, მდივანი; ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

მზადდება „ზოგი ჭირი მარგებელია“ და „ავადმყოფნი“.

რეჟისორი **ვ. გუნია**

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. ბ. ფედოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. გეგთაგეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვების 5—6 საათამდე.

ვ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

ბ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ღამ-ღამობით ექიმების მორიგეობაა, ღამის 9 საათიდან დილის 7 საათამდე. მსურველთ შეუძლიანთ სახლშიაც წაიყვანენ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). **ტელეფონი №** 274. (წლ.)

ე ქ ი მ ი

ვახტანგ ღამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

საზღვარ-გარედ

ინგლისი. დეპუტატთა პალატაში 21 იანვარს მეტად საინტერესო კამათი მოხდა.

დიდ ძალი ცხენი დასჭირდა ინგლისს სამხრეთ-აფრიკის ომისათვის. მთელ ქვეყნიერობაზე, ერთი სახელმწიფოც არ გაუშვა ინგლისმა, სადაც კი ცხენები იშოვებოდა, ყველგან იყიდა. ურიცხვი ცხენის სყიდვა დიდძალი ფული დაუჯდა ინგლისს. ინგლისის ერი არას იშურებდა, ოღონდ კი მტრის გულისად არ გამხდარიყო და სამხრეთ-აფრიკიდან გამარჯვებული გამოსულიყო. მაგრამ ინგლისის ერის ფული ზოგი თუ საქმეზე იხარჯებოდა, ზოგი კიდე ცხენების მსყიდველების ჯიბეში ჩადიოდა. ეს ამბავი ჯერ კიდევ ზაფხულში გაიგეს დეპუტატებმა და მაშინვე მთავრობასაც აცოდინეს. ეხლა კიდევ დეპუტატთა პალატაში ჩამოუგდიათ ამ საგანზე ლაპარაკი. ამ დღეებში ამ საქმის თაობაზე ეგრედ წოდებულ „ლურჯ წიგნში“ ოფიციალური დოკუმენტები გამოუცხადებიათ. დოკუმენტებიდან ცხდად სჩანს, რომ ცხენების სყიდვის საქმე მეტად ურიგოდ ყოფილა მოწყობილი. რაც კი პალატაში დოკუმენტები გამოაცხადეს, ამათგან ყველაზე საინტერესო პარლამენტის წევრის ჰობლაუზის წერილი ყოფილა. ჰობლაუზს ღამაზად იქვს აწერილი, თუ რა თინებსა და ბოროტ-მოქმედებას სჩადიოდნენ ცხენის მსყიდველები. ეს ამბები უმთავრესად ავსტრ-უნგრეთში მომხდარა:

მთავრობა პირობით შეეკრა ჯხენების მსყიდველებს, რომ თითო ცხენი 35 გირ. სტ. (350 მან.) ჩაებარებინათ. კინც ეს საქმე აიღო, ადგა და სხვას გადასცა, პირობა ჩამოართვა, რომ თითო ცხენი 33 გირ.; 7 შილინგად და 8 პენსად ჩაებარებინა, ასე, რომ პირველი მსყიდველი თითო ცხენში $1^1/_2$ გირ. სტ. (15 მან.) იგებდა. მეორე მსყიდველმა კიდე მესამე კაცს გადასცა საქმე, თან უფრო იაფადაც მოურიგდა და უკრავ-უგინებლად 70,000 მანეთი მოიგო. მესამემ კიდე მეოთხეს გადასცა და ასე და ამნაირად იქამდე იარა საქმემ, რომ ვიდაცა ჭაუზერი თურმე 22 გირ. სტ. აბარებდა თითო ცხენს. ჭაუზერმა თურმე ყველა ბაზრები მოიარა და რანაირი ცხენიც უნდა შეჭხვედროდა, ყველას განურჩევლად ჭყიდულობდა. თითო ცხენში ჭაუზერი 15—16 გირ., (ხან-და-ხან 8 გირვანქასაც) ზევით არ აძლევდა. და აი ამისთანა ცხენებში საქმის პირველი ამღები თითოში 35 გირ. ახდევინებდა ინგლისის ხაზინას, ე. ი. რასაც ცხენებში ნამდვილად აძლევდნენ, იმაზე ერთი ორად მეტს ახდევინებდა. ჰობლაუზი ანგარიშობს, თუ ავსტრ-უნგრეთს გარდა, სხვაგანაც მაგნაირად ჭყიდულობდნენ ცხენებს, გამოდის, რომ ხაზინას 80-ზე მეტი მილიონი მანეთი სულ უბრალოდ გადაუყრიათ.

სამხედრო მინისტრი ბროდრიკი დაჭპირდა პალატას: მაგ საქმეს სასტიკად გამოვიძიებ და რასაც გამოძიება აღმოაჩენს, პალატას შევატყობინებო.

✡ თვით მთავრობის ერთგული გაზეთებიც კი უწყრებიან ბროდრიკს. „ტაიმს“-ი პირდაპირ ამბობს: სამხედრო მინისტრმა მეტად მსუბუქად შეჭხედა ამ საქმესაო. აქ ამა, თუ იმ მოსამსახურის ბრალი როდია, თითონ სამხედრო სამინისტროს მეტად ცუდად ჭქონია დაწყობილი ცხენების ყიდვის საქმეო. ლიბერალური გაზეთები ხომ უფრო მწარე-მწარე სიტყვას აგონებენ მთავრობას. „დეილი ნიუს“-ი ამბობს: სხვა დროს ამისთანა სამარცხვინო ამბავი უსათუოდ სამინისტროს დაამხობდაო. გაზეთი თხოულობს, ეს საქმე რაც შეიძლება სასტიკად გამოიძიოს მთავრობამ, თორემ მთელი ევროპის სასაცილო გახდებაო. „მორნინგ ლიდერ“-ი სწერს: ცხენების სყიდვის შესახებ მომხდარმა კამათმა მთავრობას მთლად გაუტეხა სახელიო, იცოდეთ ეს ამბავი ასე უბრალოდ არ ჩაივლისო.

საფრანგეთი. მადნის მუშების ფედერაციის კომიტეტი მაინც თავისას თხოულობს: მადნებში ეხლავ 8 საათის სამუშაო დღე დაწესდესო. კომიტეტმა სთხოვა პირველ-მინისტრს ვალდეკ-რუსოს, მადნის მუშების დეპუტაცია მიიღეო. პირველმა მინისტრმა შეუთვალა კომიტეტს, თქვენ თხოვნას ავასრულებო. ხმა დადის მაინც, რომ კომიტეტი ბოლოს უსათუოდ ოდილონ ბაროს პროექტს დასთანხმდებაო. ამ პროექტს ეხლა პალატა იხილავს. მკითხველს ეხსომება, რომ ოდილონ ბაროს პროექტის ძალით, მადნებში ჯერ 9 საათის სამუშაო დღე დაწესდება, ორი წლის შემდეგ $8^1/_2$ საათისა და 4 წლის შემდეგ კი 8 საათისა.

ფელეტონი

სიტყვა-კაზმული მწერლობა 1901 წ.

(შემდეგი [*])

სიტყვა-კაზმულ მწერლობის მრავალ ფორმათა შორის რომანი და მოთხრობა ყველაზე უფრო ეხერხება თანამედროვე ევროპის და რუსეთის მწერლებს ტიპების დასასურათებლად. ტიპის დახატვა და მკითხველის წინაშე იმის გაცხოველება რეალიზმის მიმდევარ ბელლეტრისტისთვის უპირველესი და უაღრესი ვალია. მართლაც და, ტიპად მხოლოდ მაშინ ჰხდება პოეტურად დასურათებული გმირი, როდესაც იმისი სულის ვითარება მთლად და სრულად იქმნება დახატული, როდესაც იმისი აზრ-წყობილება, ხასიათი, ზნეობა და სხვა ნათლად იქმნება გამორკვეული მკითხველის თვალში. ამის მოხერხება კი ბელლეტრისტისთვის ადვილი სწორედ მაშინ არის, როდესაც მისგან არჩეული ფორმა სიტყვა-კაზმულის მწერლობისა იმის კალამს თითქმის არავითარს ტეხნიკის დაცვით არ აფერხებს, როდესაც იმას არც სივრცისა ეშინიან და არც სხვა რისამე. აი სწორედ ეს არის სარჩული იმ გარემოებისა, რომ თანამედროვე უცხოეთის მწერლები რომანის ფორმას ამჯობინებენ სხვებს. თუ ამასთან ერთად მხედველობაში ვიქონიებთ, რომ ინტელიგენტთა საზოგადოება ბევრად უფრო რთულია და მრავალფეროვანი, რომ ინტელიგენტის გულისა და სულის ისტორია ბევრად უფრო ღრმა არის და საინტერესო, ვიდრე არა ინტელიგენტისა, ადვილად წარმოვიდგენთ და შევიგნებთ, რატომ ეტანებიან ასე ძლიერ ბელლეტრისტები განათლებულ პიროვნებათა დასურათებას თავის რომანებსა და მოთხრობებში.

ჩვენდა სავაგლახოდ, არ შეიძლება ვთქვათ, რომ ქართველს ბელეტრისტებსაც ასე ძალიან ეხერხებოდეთ ინტელიგენტთა ტიპების დასურათება; პირიქით, რაღაც უცნობის მიზეზის გამო, ძნელად თუ რომელიმე ქართველი მწერალი გაჰბედავს და თავის კალამს განათლებულ კაცს დაახატვინებს; ჩვენი მწერლობა ჯერ-ჯერობით თითქოს საკმაოდ განვითარებული არ არისო, ისე უძნელდება იმის რთული სულიერი ვითარების აღწერა და გამორკვევა. მომეტებულს ნაწილად, ჩვენი ბელლეტრისტების მოთხრობა, თუ იმისი შინაარსი ინტელიგენტთა ცხოვრებიდან იქმნა აღებული, სუსტი გამოდის და ხშირად კარიკატურას ჰგავს.

1901 წ. „მოამბე“-ში დაისტამბა ორი მოთხრობა, რომელთა შინაარსი ქართველ საზოგადოების განათლებულ ნაწილის ცხოვრებიდან არის ამოღებული, „მეჩვენა“ ბ. ბარნოვისა და „ლუარსაბს პატრონი გაუჩნდა“ ქ. ეკატერინე გაბაშვილისა. ეს მოთხრობები ერთიმეორეზე ძალიან დაახლოვებული არიან; ორივე განათლებულ ადამიანის უბედურად დამთავრებულის ცოლ-ქმრობის ისტორიაა აღწერილი და ორგანვე ამ უბედურების მიზეზი უღიბლო ქორწილია. ეს მგზავსება, რა თქმა უნდა, სრულიად შემთხვევითი მოვლენაა, ბარნოვს ქ. გაბაშვილის წაბაძვის სურვილი არ ჰქონია და ჩვენს ძველს მწერალს ქალს— ბ. ბარნოვისა. უბედური და უიღბლო ქორწილი მხოლოდ გარეგანი მგზავსებაა ამ მოთხრობებისა, რომელნიც თვალ-საჩინოდ განსხვავდებიან ერთი მეორისაგან, როგორც გმირების დასურათებით, აგრეთვე მოთხრობილ ისტორიის ხელოვნურად გადმოცემით, ჩვენის ფიქრით, ბ. ბარნოვის ნაწარმოები უფრო მდიდარია შინაარსით, იმისი ავტორი უფრო მეტს ცხოვრების დაკვირვების ნიჭს და შნოს იჩენს, მაგრამ „მეჩვენას“ ქ. გაბაშვილის „ლუარსაბს პატრონი გაუჩნდა“ სჯობს მოხდენილის ენითა და შინაარსის მხატვრულ გადმოცემით.

„მეჩვენას“ გმირი იოსებ სანდომიძე ჩვენის დაქვეითებულის საზოგადოების პირმშო შვილია. სანდომიძე ერთს დროს სტუდენტი იყო და მაშინ ის ფრთა გაშლილი დასცურავდა ოცნებათა სამფლობელოში; იმისი გატაცებული სიყვარული სამშობლო ქვეყნისა, იმისი აუზორკველი და დაუდგრომელი მისწრაფება სამშობლოს გაბედნიერებისა უზომო იყო, თავ-განწირულ იოსებ სანდომიძის მეგობრებს სამუდამოდ ჩაჰრჩათ მეხსიერებაში იმის მაღალი შუბლი და დიდ-ხანს თითქოს გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად ეჩვენებოდათ მათ იმისი პიროვნება. მაგრამ უნივერსიტეტის სასწავლო სკამზე მჯდომი სტუდენტი სხვა არის და ცხოვრებაში მებრძოლი მოღვაწე კიდევ სხვა. პირველ ხანებში, უნივერსიტეტში კურსის დამთავრების შემდეგ, სანდომიძე ერთგულად შეუდგა ქვეყნის სამსახურს, ის არც ფულის სიხარბის შეუპყრია, არც დიდების და სახელის მოხვეჭის სურვილს... იმისი ერთად-ერთი მისწრაფება კულანდებურად ის იყო, რომ რაიმე კეთილი საქმე მოემოქმედა სამშობლოს გასაბედნიერებლად...

ინიციატივას და მოთავეობას მოკლებულს ქართველს საზოგადოებაში ჩემს მკითხველს ერთი და ორი ისეთი განათლებული ნაცნობი არ ეყოლება, რომელთა მისწრაფება წმინდაა და სამაგალითო, მხოლოდ მოქმედება კი—ფუჭი და უშინაარსო. ბ. ბარნოვის გმირიც ასეთივე უმოქმედო ბუნების პატრონია... რა მიზეზია და რა საფუძველზე ამომცენარევდა ჩვენში ეს გულის დამალონებელი და გრძნობის გამაციებელი უენერგიობა, რომელმაც მრავალი პატიოსანი და ნიჭიერი ქართველი კაცი გაჰხადა გარყვნილების და მსუბუქ სიამოვნებათა მსხვერპლად, ამას ბ. ბარნოვი არ მოგვითხრობს, ამის მიზეზი ალბად თითონაც ვერ გამოურკვევია,

---

[*] იხ. „ცნ. ფურც.“ №№ 1711.

იტალია. მილანში, რომში, გენუაში, ტურინში და ნეაპოლში 20 იანვარს რკინის გზის მოსამსახურეებმა კრებები მოახდინეს. კრებებს დიდძალი ხალხი დაესწრო. ყველგან ამნაირი რეზოლიუცია დაედგინათ;

„რკინის გზის მოსამსახურეები ბეჯითად აცხადებენ, რომ სრული უფლება აქვთ თავიანთი ეკონომიური, თუ ზნეობრივი მდგომარეობის გაუმჯობესობა მოითხოვონ. ესევე ეწერა იმ ქაღალდშიაც, ხმელთა შუა ზღვის საზოგადოებას რომ მივართვით. მოსამსახურეებს იმედი აქვთ, რომ მთავრობა მუშების კავშირის შევიწროებას ან მოსპობას მოერიდება. მოსამსახურეებს იმედი აქვთ აგრეთვე, რომ მთავრობა ეცდება და ხელს შეუწყობს, რომ დავა რკინის გზების საზოგადოებათა და მოსამსახურეებ შუა სულ მშვიდობიანად და მტკიცედ გადასწყდეს.

ვინც კი კრებაზე ილაპარაკეს, ყველა ორატორებმა მკაცრად გაჰკიცხეს მთავრობა, რადგანაც მთავრობა დაიმუქრა, რომ ყველა გაფიცულ მოსამსახურეებს სისხლის სამართალში მივცემთო და ისე მოვექცევით, როგორც მოხელეს ვექცევით, როცა ის თავისი ნებით, დაუკითხავად თავს ანებებს სამსახურსაო. გენუაში კრებაზე დეპუტატად ნამყოფს სოციალისტს ტურატის ეთქვა:

„თქვენ გეუბნებიან, ნება არა გაქვთ თქვენი პირობა დაარღვიოთო. თქვენ მოხელეები ხართო, მაგრამ თქვენ სამშობლოს დამცველი ჯარისკაცები კი არა, რკინის გზის აქციონერების ჯარისკაცები ხართ. ამათ 6%-იან მოგებას იცავთ“.

ტურატიმ მაინც კიდევ გააფრთხილა მოსამსახურეები: სანამ მუშაობას აჰკვეთდეთ, კარგათ იფიქრეთო, იმიტომ რომ დიდ პასუხის გებას ჰკისრულობთ თქვენ თავზეო. ტურატიმ შეჰნიშნა: „შეიძლება, რომ გაფიცვამ ეხლანდელ სამინისტროს საქმე გაუჭიროს. ეს სამინისტრო აქამდე ლიბერალურ პროგრამას მისდევდა, და თუ საქმე გაუჭირდა, ვაი თუ რეაქციის გზას დაადგესო“.

სოციალისტი ტურატი სამინისტროს მომხრეა და იმავე გზას ადგია, რა გზასაც საფრანგეთში მილიერანი ადგას

შეერთებული შტატები. ამერიკის მთავრობა იმ თავითვე ლმობიერად და თავაზიანად ექცეოდა ჩინეთს. ჩინეთის ომის დროს განსვენებული მაკ-კინლეი ყოველთვის თავგამოდებით ესარჩლებოდა ჩინეთს. მაკ-კინლეი რომ არა, უცხოელები შეუდარებლად მეტს საზღაურს დააკისრებდნენ ჩინეთს. ამერიკის ჯარს ჩინელების ხოცვა-ჟლეტაში მონაწილეობა არ მიუღიათ. თუ ნაცარცვი და ნაღავლი წაეღოთ რამე, ისიც ხომ სრულად დაუბრუნა პრეზიდენტმა რუზველტმა. ასე რომ ამერიკის მთავრობამ ყველაფრით გული მოიგო ჩინელებს. ჩინელებმაც დაინახეს ამერიკის სიკეთე და წინადაც და ეხლაც ყოველთვის მადლობელნი იყვნენ ამერიკისა. გერმანულ გაზ. „კენ. ჭ. ცაიტ“-ი სწერს:

„პეკინში, გარეშე საქმეთა სამინისტროში ლაპარაკი აქვთ იმის შესახებ, რომ ჩინეთმა საგანგებო დესპანები გაგზავნოს შეერთებულ შტატებში და რესპუბლიკის პრეზიდენტს თეოდორ რუზველტს მადლობა გადაუხადოს, რადგანაც ამერიკა მეტის მეტად მეგობრულად ექცეოდა ჩინეთს; შფოთის დროს, თუ მერე ზავზე მოლაპარაკების დროს, ყოველთვის ჩინეთს ესარჩლებოდაო“.

ახალი ამბავი

◆ პრინცესა ევგენია მაქსიმილიანის ასული **ოლდენბურგელი** ექვს თებერვალს ტფილისიდან მიემგზავრება.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ დაადგინა, 27 თებერვალს მოახდინოს საზოგადოების წევრთა წლიური კრება, რათა **აარჩიონ საზოგადოების მოხელენი**.

◆ დღეს, 31 იანვარს, დანიშნულია ტფილისის ქალაქის **საბჭოს სხდომა** ნაცვლად ორშაბათის სხდომისა, რომელიც ხმოსანთა დაუსწრებლობის გამო ვერ შესდგა.

◆ დღეს ქართულ თეატრში დანიშნულია **ბ. სვიმონიძის ბენეფისი**. წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ზუდერმანის დრამა „სოდომის წარღვნა“. იმედია, ჩვენი საზოგადოება დაესწრება ამ წარმოდგენას და ამით პატივსა სცემს ჩვენის სცენის მუყაითს არტისტს.

◆ ამას-წინად სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა მოსწერა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ, რადგანაც ქალაქში ელექტრონით მმოძრავ ტრამვაის გამართვა დიდად ხელს უშლის ტფილისის **საფიზიკო ობსერვატორიის სამაგნიტო განყოფილების** მუშაობასო, საჭიროა ობსერვატორიის ეს განყოფილება ქალაქის სხვა უფრო მოხერხებულ ადგილზე იქმნას გადატანილიო; ამასთანავე ვიცე-პრეზიდენტმა სთხოვა ქალაქის გამგეობას—ობსერვატორიის სამაგნიტო განყოფილების გადასატანად საჭირო ფულის (45,000 მან.) გადადება. ეს განცხადება ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა 29 იანვარს და გარდასწყვიტა, დაევალოს ქალაქის მოურავის მოადგილეს შეატყობინოს სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, რომ ქალაქს, საშუალებათა სიმცირის გამო, არ შეუძლიან ამოდენა ხარჯი იკისროსო.

◆ რადგანაც ტფილისის **დურგალთა ამხანაგობის** „შრომის“ გამგეობის წევრმა დ. გიგაურმა თავის თანამდებობაზე უარი განაცხადა და რადგანაც წარსულ კრებაზე გამგეობის წევრთა კანდიდატების არჩევანიც ვერ მოასწრეს, კვირას, 3 თებერვალს, დანიშნულია აღნიშნულ ამხანაგობის წევრთა კრება გიგაურის ნაცვლად სხვა წევრისა და გამგეობის წევრის კანდიდატების ასარჩევად და აგრეთვე სხვა საქმეების განსახილველად.

◆ ორშაბათს, 4 თებერვალს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში, საღამოს 8 საათზე დანიშნულია სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს შეიმუშაოს პროექტი იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყოს ჩვენში მორტირების საშუალებით **სეტყვასთან ბრძოლის** საქმე.

◆ **ტფილისის ხელოსანთა** დეპუტატებმა 22 იანვრის სხდომაზე ამოირჩიეს ექვსი კაცი, რომელთაც დაავალეს შეეცადონ, რათა ახლო მომავალში საკუთარი შენობა შეიძინონ ტფილისის სახელოსნო სამართველოსა და ხელოსანთა სხვა დაწესებულების მოსათავსებლად. ამ ჟამად ხელოსანთა საზოგადოებას ამ საქმისათვის ბანკში აქვს 3000 მანეთამდე; სხდომაზე აგრეთვე გარდასწყვიტეს, რომ 54 ამქრიდან თითომ გამოიღოს ამ საქმისათვის თითო თუმანი. ამავე საგნისათვის იქნება გადადებული აგრეთვე ის ფული, რომელიც სხვა-და-სხვა დანიშნულებისათვის ჯამაგირად გადახდება ხელოსნებსა და მათ თანაშემწეთ. კრებამ ხელოსანთა მოურავს სერობიანცს ჯამაგირად დაუნიშნა 1000 მან., ხოლო მწერალს—720 მან.

◆ **ხელოსანთა დეპუტატების სარევიზიო კომისიის** მოხსენებიდან სჩანს, რომ ხელოსნებზე სხვა-და-სხვა საჭიროებათათვის შეწერილ გარდასახადის ნამდვილი შემოსავალი უნდა ყოფილიყო, 1896 წლის 1 იანვრიდან 1900 წ. იანვრამდე, სულ 5474 მან. ხოლო გასავალი 1608 მან. 45 კაპ. როგორც სარევიზიო კომისია ამბობს, ხელოსანთა მოურავის სერობიანცის დაუდევრობით აღნიშნულ წლების განმავლობაში აუღებელი გარდასახადი ყოფილა სულ 2308 მან. 20 კაპ., ხოლო 1901 წლის განმავლობაში აუღებელი დარჩენილა 2141 მან.

◆ როგორც ლიონიდან იწერებიან, **მეაბრეშუმეობის ნაწარმოებზე** ფასებს ცოტად აუწევია. ადგილობრივ ბაზრებზე გამხმარი პარკი ისყიდება ფუთი 45—48 მანათად.

◆ მიწად-მოქმედების სამინისტრომ გამოსცა ამ თვეში ახალი წიგნი **ჩაის ხის გაშენებისა და ჩაის დამზადების შესახებ** წიგნი შედგენილია ჩაქვის საუფლის-წულო მამულის გამგე ვ. ო. სიმონსონის მიერ, რომელიც ცნობილია მთელს რუსეთის იმპერიაში ჩაის ხის მოვლა-გამრავლების და ჩაის დამზადების საქმის კარგა მცოდნე პირად. რადგან ზემოხსენებულ სამინისტროს საგნად აქვს გაავრცელოს ჩაის ხის კულტურის საქმე დასავლეთ საქართველოში, აუცილებლად საჭიროა, ბ. სიმონსონის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო გადათარგმნილ იქმნეს ქართულად.

◆ კავკასიის საბაღოსნო საზოგადოებამ რუსეთის მევენახეთა კრებაზე წარმომადგენლად დაჰნიშნა თავისი წევრი, საუფლისწულო მამულის სარდაფის გამგე, **გ. ი. გოგოლ-იანოვსკი**.

◆ 29 იანვარს სხდომა ჰქონდა ქალაქის საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქში პურზე და ხორცზე **ნიხრის** დაწესება. კომისიამ განიხილა ამ საგნის შესახებ შეკრებილი მასალა და დაადგინა, დაწესებულ იქმნას გირვანქა სუკზე 15 კ., საქონლის პირველ ხარისხის ხორცის ერთ გირვანქაზე 12 კ; მეორე ხარისხის—9 კ. და მესამისა 6 კ. კომისიამ ცხვრისა და კამეჩის ხორცზე ეხლანდელი ნიხრი შეუცვლელად დასტოვა.

◆ 1901 წელს ტფილისში სხვა-და-სხვა **გადამდებ სენით** გამხდარა სახადით—16 კაცი, მუცლის სახადით—80, დაბრუნებულის სახადით—56, ჰლექით—6, ყვავილით—41, წითელათი—105, ქუნთრუშით—245, დიფტერიტით—172, ყელჭირვებით—11. ყივანა-ხველით—12, ქოთაოთი—3, ციმბირის ჭირით—2, პარტახტით—10, სისხლის ფაღარათობით—2, და წითელი ქარით—6; სულ კი—767 კაცი; ამათგან 379 არჩენდნენ სახლში, ხოლო 418—საავადმყოფოებში. ყველაზე ბევრი ავადმყოფი ყოფილა მეათე საპოლიციო უბანში (189 შემთხვევა) და მეცხრე უბანში (155 შემთხვევა), ყველაზე ნაკლები—მეექვსე უბანში—22 შემთხვევა.

◆ პოლიციის ცნობებით, ტფილისში 10,641 სახლია, სასტუმროები და გასაქირავებლად მოწყობილი ოთახები—61, მეეზოები კი დაუქირავებიათ 2,134 კაცი.

◆ სადგურ დოვლიარიდან იტყობინებიან, რომ 30 იანვარს, შუაღამეზე, საქონლის მატარებელი № 143 **დაეჯახა** № 210 მატარებლის ბოლო ვაგონებს, რის გამოც რვა ვაგონი—ცისტერნა დაიმტვრა; ლოკომოტივი რელსებიდან გადავარდა; ხალხს არ დაშავებია-რა.

◆ განსვენებულის დიმიტრი ყიფიანის ქვრივის **ნინო ყიფიანის** ქირისუფალთ გარდაუწყვეტიათ, განსვენებულის გვამი ქვიშხეთიდან ტფილისში გადმოასვენონ და მთაწმინდაში ქმრის გვერდით დაკრძალონ.

◆ 29 იანვრის სხდომაზე ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა **ტფილისის მელექეთა** განცხადება იმის შესახებ, რომ რიგიანად მოკირწყლულ იქნეს რიყის ქუჩა, შუა-ბაზარი და ის ქუჩები, რომლებზედაც ცხენის-რკინის გზა დადის. გამგეობამ დაადგინა, დაავალოს ცხენის რკინის გზის თვალყურის მდევნელ კომისიას დაათვალიეროს და ცნობები წარუდგინოს გამგეობას იმ ქუჩების შესახებ, რომელნიც უნდა მოკირწყლულ იქმნენ უსახელო საზოგადოებისაგან; ხოლო რიყის ქუჩისა და შუა-ბაზრის მოკირწყვლა გადაიდოს იმ დროსათვის, როცა გამგეობა შეუდგება საერთოდ ქალაქის ქუჩების მოკირწყვლის საქმეს.

◆ დღეს, 31 იანვარს, ქალაქის სასწავლებლების კომისიას სხდომა აქვს, რომელზედ უნდა გამოირკვეს ოთხ-კლასიანი სასწავლებლის დაარსების საქმე **დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელზე**.

◆ შრომის ბიუროს გამგემ თამამშევმა მიმართა ქალაქის თავის მოადგილეს, რომ, რაც შეიძლება, მალე აღძრან კითხვა შრომის **ბიუროს ქალაქისაგან მიღების შესახებ**, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით,—ამბობს თამამშევი—საგუბერნიო ადმინისტრაციას მივმართოთ მოსამსახურეთა და

მაგრამ ჩვენ იმისთვისაც მადლობელი უნდა დავრჩეთ ბ. ბარნოვისა, რომ ეს უმოქმედობა გააცხოველა და პოეტურად დაგვისურათა სანდრომაძის პიროვნებით. სანდრომაძე მასწავლებლობას ჰკიდებს ხელს, დიდს ხანს ემზადება რაიმე საზოგადოებრივის მნიშვნელობის მოღვაწეობას მოჰკიდოს ხელი, მაგრამ ვერაფერი ვერ მოუხერხებია იმის მეტი, რომ სოფლად სიარული დაიწყოს და ხალხურის ლექსების მოგროვებას შეუდგეს.

სანდრომაძის დამახასიათებელი უმოქმედობა ტიპიური მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენებურს განათლებულს კაცს დღემდე თავის აზრებთან და მისწრაფებასთან შეთანხმებული გეგმა მოქმედებისა არა აქვს შედგენილი, ის თითქოს თვალდახუჭული მისდევს ცხოვრების მსვლელობას, ჩვეულებრივ რომელიმე დაწესებულების „ჩინოვნიკად“ ჰხდება და თან-და-თან ისე ფუქსავატდება, რომ ახალგაზდური გატაცებული სურვილი საქვეყნო სარბიელზე მოქმედებისა სრულიად ისპობა იმის გულში და სამაგიეროდ იბადება მისწრაფება მსუბუქ სიამოვნებისა. რამდენიმე თაობა განათლებულის ქართველებისა სცხოვრობს ამ დაგუბებულ წყალსავით აშმორებულის სიცოცხლით და აი ამას უნდა მიეწეროს ჩვენის აზრით ის გარემოება, რომ ჩვენი საზოგადოება დღეს სამარცხვინოდ მდიდარია დაძაბუნებულ, მოქმედების უნარ დაკარგულ ახალგაზდობით...

სანდრომაძე ვერავითარის საქმის შექმნას ვერ ახერხებს, იმის მისწრაფებას და სურვილს ვერსად ვერ უპოვია მოქმედების გზა და, თუმცა ჩვენი გმირი ჯერ ისევ პატიოსანია, მაგრამ იმის პატიოსნება უმოქმედოა და ამიტომ დღე დათვლილი. ხალხური ლექსების მოსაგროვებლად მოგზაურობის დროს, ჩვენს გმირს ერთ-ერთ მემამულის სახლში მშვენიერი ახალგაზრდა გასათხოვარი ქალი შეჰხვდება, რომელიც სანდრომაძის გულს იმონავებს. ყმაწვილის ქალის დამატყვევებელი მშვენიერება, გონიერი ლაპარაკი, კეთილი გული და თავდაჭერილი ქცევა-ყოფა თვალში მოსდის ჩვენს სიცოცხლითვე მკვდარს გმირს, მაგრამ ის ვერა ჰბედავს თავისი გრძნობა გაუმხილოს თეკოს (ასე ერქვა ქალს), ვერა ჰბედავს სთხოვოს ცოლად წამომყეო, თუმცა დარწმუნებულია, უარს არ მიიღებს, რადგანაც თეკოს აშკარად ეტყობა, რომ იოსები უყვარს და ძალიან წმინდა სიყვარულითაც. ჩვენი გმირი გრძნობას გულში იმარხავს და თითონვე აქრობს იმას, თითქოს ეშინიან ამ გრძნობამ მოქმედების გზაზე არ დამაყენოს და გარეგანი გამომხატველობა არ მიიღოსო. ეს პირველი და, თუმც პირველის შეხედვით მსუბუქი, მაგრამ ნამდვილად კი ძნელი შესაწყნარებელი დანაშაულობა ჩვენმა გმირმა იმიტომ ჩაიდინა, რომ იმას მოქმედებისა ეშინიან, დაჩვეული არ არის გულის სიღრმეში ჩაბუდებულის გრძნობის საქმედ გადაქცევას... თითონ სანდრომიძე ამას სხვანაირად ჰხსნის, ამბობს, რომ ცოლის შერთვა საქვეყნო სარბიელზე მოღვაწეობას დამიშლისო, მაგრამ ეს ადვილად გამოსაცნობი სიცრუეა და ფეხმოკლე სოფიზმი. როგორც მკითხველი ჰხედავს, სანდრომიძე უკვე თავის თავის მოტყუების გზაზე სდგება, უკვე სოფიზმებით სცდილობს აიცილოს თავიდამ ის საყვედური და სინიდისის ქენჯნა, რომელიც იმან სრულიად დაიმსახურა. რაკი ერთი შესდგა ფეხი ჩვენმა გმირმა თავის მოტყუების ბილიკზე, შემდეგ გულ-ახდილობის და ალალმართლობის გზაზედ გამოსვლა ძნელი-ღაა. ამის შემდეგ მკითხველს უფლება აქვს მოლოდინი იქონიოს, რომ სანდრომიძე თან-და-თან უფრო ხშირად მოატყუებს თავის-თავს, თან-და-თან უფრო ხშირად უღალატებს თავისს საკუთარს გრძნობებს და მისწრაფებას. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი ბარნოვი სამართლიანად ამართლებს თავის მკითხველის მოლოდინს.

იოსებ სანდრომიძე მხოლოდ მაშინღა გადასწყვეტს ცოლის შერთვას, როდესაც სიბერის მოახლოვებას იგრძნობს და იმის შავს თმას აქა-იქ ვერცხლის ფერი მიეცემა. ეს გადაწყვეტილება ჩვენის გმირისა სრულიად შეთანხმებულია იმის უმოქმედო და ინიციატივა მოკლებულს ბუნებასთან. ცოლის შერთვას ეხლა ის მხოლოდ იმიტომ აპირებს, რომ ყველა ასე იქცევა და სიბერის ხანს თითქმის ყველა ცოლშვილიანია. როგორც აქამდე, ეხლაც იოსებ სანდრომიძე ყურმოჭრილი მონაა ერთხელ შემოღებულის ცხოვრების წესისა, იმას არც არსებულს წყობილებასთან ბრძოლა შეუძლიან და არც ამ წყობილების თავისუფალი მიმდევრობა. ადვილი წარმოსადგენია, რა მიმართულების და ხასიათის ქალი უნდა შეჰხვედროდა ჩვენს გმირს ცოლად. შემთხვევით და თვალ-გაუხილებლად არჩეული ცოლი, თეკლე — ახალგაზრდა პრანჭია ქალი გამოდგა, რომელსაც ქმარი მხოლოდ იმისთვის უნდოდა, რომ საკუთარი ბინა გაეჩინა და ოჯახის პირბადე ახვეულს თავისუფლად ემოგზაურა მსუბუქის სიყვარულის გზებით. არ გასულა დიდი ხანი ქორწილის შემდეგ, რომ თეკლემ საყვარლები გაიჩინა, რომელთაც ის თითქმის საქვეყნოდ ეარშიყებოდა და ეალერსებოდა. სანდრომაძე ჰხედავდა, რომ იმისი ოჯახი ცოლის უწესო ქცევა-ყოფით ილახებოდა, ჰხედავდა, რომ თეკლე გარყვნილების ჩირქს აცხებდა იმის, საერთოდ, პატიოსანს სახელს, მაგრამ დიდს ხანს არაფერს ღონეს არა ხმარობდა თავის პატიოსნების დასაცველად და ოჯახის გადასარჩენად სამარცხვინო დაღუპვისაგან. გარდა ამისა თავის ქმარს თეკლე იმ თვალით უყურებდა, თითქოს ეშურება საჩქარად გამოსწოვოს იმას, რაც კი შესაძლებელია, და შემდეგ მიანებოს თავი, როგორც უვარგისს და გამხმარს მცენარეს, და ცალკე

კონტორის დადგენილებათა გამოცემის შესახებაო.

◆ რათა გამოარკვიონ **სამხედრო მოხელეთა საბინაო გადასახადი**, კავკასიის უმაღლესი მთავრობის განკარგულებით, უნდა დაწესდეს კომისიები: საგუბერნიო, სამაზრო და საქალაქო. ის კითხვა, ვინ უნდა მოიწვიონ კომიტეტის წევრად ქალაქის თავის მაგიერ, სადაც საქალაქო დებულება არ არის, კავკასიის მთავრობამ განმარტა: 1) რომ ამისთანა ადგილებში უნდა მოიწვიონ კომიტეტის წევრებად მცხოვრებლების წარმომადგენლები და სოფლის მამასახლისები, 2) იმ შემთხვევაში, როდესაც ქალაქის თავს არ შეუძლიან ყველა კომისიებში დაესწროს, მაშინ მცხოვრებთაგან ამორჩეულნი პირნი უნდა მიიწვიონ, მხოლოდ მთავრობის თანხმობით.

◆ ქალაქის თვით-მმართველობამ არ იცის, როგორ მოაგვაროს ღამის თავ-შესაფარის საქმე, რის გამოც გამგეობაში აღძრეს კითხვა, რომ **დროებით დახურონ ღამის თავ-შესაფარები**, ვიდრე იმისთვის სადგომებს იშოვიან. საქმე იმაშია, რომ ძველმა სახლის პატრონებმა დაინახეს, რომ იმათ სახლებს ვადა გაუვიდათ და ქალაქს კი სხვა ბინა არა აქვს ღამის თავ-შესაფარისთვის და მოუმატეს სახლების ქირა 500 მ. წელიწადში. ერთი სახლის ვადა დიდი ხანია გავიდა და მეორესიც ამ ორ დღეში გათავდება. ამ გვარად ღამის თავშესაფარები უნდა დაიხუროს და ცის ქვეშ დარჩნენ გაჭირვებულნი ღარიბ-ღატაკნი ამ ზამთარში. ჭეშმარიტად, დიდი დაუდევრობაა ქალაქის თვით მმართველობისა, რომ წინად არ შეეცადნენ, საჭირო სახლი მოენახათ. მით უმეტეს, რომ ქალაქისაგან გადადებულია თავშესაფარისთვის წელიწადში 900 მანეთი.

◆ საკანტროლო პალატის მმართველმა განკარგულება მოახდინა, რომ პალატაში ყოველ-დღიური მუშაობა თავდებოდეს, როგორც სხვა დაწესებულებებშიაც არის, **ნაშუადღევის სამ საათზე**.

◆ ტფილისის გუბერნატორმა დაავალა პოლიცმეისტერს, გამოუცხადოს დახურულ ბაზრის პატრონებს, რომ, რადგანაც არხიტექტორმა უარი განაცხადა ამ ბაზრის ყურის-გდებაზე, **ათი დღის განმავლობაში** პატრონებმა უნდა მონახონ პასუხის მგებელი ტეხნიკოსი, რომელმაც მიიღოს დახურული ბაზრის ყურის გდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ბაზარი გაუქმდება.

◆ 30 იანვარს კავკასიის მთავარ-მართებელს გამოეცხადა ახლად დანიშნული ტფილისის საკანტროლო პალატის **მმართველი** ბ. **შტერნერი**, რომელიც უკვე შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

◆ 29 იანვარს, კასკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოში შემოვიდა 2106 მან. და 14 კაპ. კავკასიის წარსული გამოფენის ექსპონენტებისაგან, რომელთაც სურთ, რომ იმათთვის **შეუკვეთონ ჯილდოები**, რომლებიც მათ საექსპერტო კომისიამ მიუსაჯა.

◆ დღეს, 31 იანვარს, მომრიგებელ სასამართლოს მეორე განყოფილებაში გაირჩევა საქმე ქალაქში ცნობილი ვაჭრის განჯუმოვისა, რომელსაც ბრალდება ცნობილი სახლის პატრონის წურინოვის **გალახვა**.

◆ 29 იანვარს ერევნიდან ტფილისში ჩამოვიდა ერევნის სახაზინო პალატის მმართველი ბ. გ. თ. მიხაილოვი.

◆ გორის მაზრის უფროსი პოლკოვნიკი ა. პავლოვი სამსახურის საქმეებისა გამო, 29 იანვარს, ტფილისში ჩამოვიდა.

◆ სადგურ სამტრედიიდან გვატყობინებენ, რომ 29 იანვარს მემანქანემ თადეოზ ზაქარაძემ, რომელსაც უნდოდა გაეგო, რამდენი მაზუთი კიდევ არის ლოკომოტივში, ფარანი მიანათა სამაზუთეს, რის გამოც გაზმა იფეთქა და ზაქარაძეს სახე და ხელები დასწვა.

◆ სადგურ აქსტაფიდან იუწყებიან, რომ 28 იანვარს, როდესაც საქონლის მატარებელი № 21 სადგურზე იდგა, გაცარცვეს ვაგონი, რომელშიაც ბათუმში გაგზავნილი ხალები ეწყო. როცა დაათვალიერეს, აღმოჩნდა, ორი ცალი ხალი აკლდა წონით 24 ფუთი და 31 გირვანქა. კვალზე შენიშნეს, რომ ხალები ურმით წაუღიათ სოფელ კრახკისამანისაკენ. მეორე დღეს დილით ერთის ასქტაფელის ბაღთან იპოვეს ჰილობები, რომელშიაც ხალები იყო შეხვეული. ეს ამბავი ეუწყა სათანადო მთავრობას.

◆ პოლიციის მე-6 ნაწილში, ვიღაც ბოროტგანმზრახველთ გაუტეხიათ არუთინ მალხაზოვის სახლი და გაუტანიათ 128 მ. ფულად და სხვა-და-სხვა ნივთი. სულ 149 მან.

ქუთაისის ახალი ამბები

∽ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი, ჟანდარმთა კორპუსის უფროსი, თავ. სვიატოპოლკ-მირსკი, თებერვლის პირველ რიცხვებში ქუთაისში მიდის.

∽ ექვს თებერვალს ქუთაისში მოვა კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს სესია, რომლის თავჯდომარედ იქნება სასამართლოს წევრი გენ.-მაიორი დავიდოვსკი, ხოლო ბრალმდებლად—ბრალმდებელის ამხანაგი ივანოვი. საქმის გარჩევა დაიწყება 7 თებერვალს. გაარჩევენ ცნობილი ავაზაკის ლორთქიფანიძის საქმეს, რომელსაც სხვა მკვლელობასთან და გაძარცვასთან ერთად ბრალდება როტშილდის ფირმის არტელშჩიკის მოკვლა და გაძარცვა; ლორთქიფანიძის გარდა ხუთია ბრალდებული, მათ შორის, როგორც ისმის, ურევია კნეინა მ. წერეთლიც, რომელსაც დამნაშავეთა დამალვა ბრალდება. ლორთქიფანიძის დამცველად სამხედრო სასამართლომ დანიშნა სასამართლოს თანამდებობათა კანდიდატი კაპიტანი გ.

∽ ამ ჟამად ქუთაისში იმყოფებიან აბრეშუმის გრენის გამყიდველები, რომელთაც ჩამოუტანიათ უცხო ქვეყნებიდან სხვა-და-სხვა ფირმის და ჯიშის გრენი გასასყიდათ. ზოგიერთ ფირმის გრენი შეუმოწმებია კავკასიის საბრეშუმო სადგურს და მათი თვისების შესახებ ჩვენს მეაბრეშუმეებს ბევრად თუ ცოტათ შეუძლიათ იქონიონ წარმოდგენა, მაგრამ უმეტესი ნაწილის შესახებ კი ღმერთმა უწყის. წარსულ წლებში უცხოეთიდან შემოტანილ გრენით ვაჭრობდნენ მიტროფანე ლადიძე, ფარნა გაბუნია, ბ.ბ. ალიბეგოვი და მესროპიანცი, რომლებიც ყოველ-წლობით ორი ათასს კოლოფზე მეტს ასაღებდნენ და სხვა. სამწუხაროდ, ზოგიერთ დასახელებულ პირთა მიერ გასყიდული გრენა შარშან სრულებით გაუფუჭდათ მეაბრეშუმეებს, რაც აიხსნება იმით, რომ გრენა ცუდათ ჰქონიათ შენახული ადგილობრივ გამყიდველებს. სასურველია, რომ აქ არსებული ამხანაგობა „კოლხიდა“ მოჰკიდებდეს ხელს გრენის ყიდვა-გაყიდვის საქმეს მომავალში, რითაც, ჩვენის აზრით, შეასრულებს თავის უმთავრეს მიზანს.

∽ ქუთაისის ნალბანდებს დიდი ხანია საჯინიბოებად აქვთ გადაქცეული თავიანთი სადგომები და დაბრანძული სანალბანდოები. ურიცხვი ცხენოსანი, რომელიც ქუთაისს აწყდება ყოველის მხრიდან, ქვემო და ზემო იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ოკრიბის სოფლებიდან, აქ იყრის თავს და აქ აბამს ცხენს. ეს აუხრებელი საჯინიბოები წარმოადგენენ სიბინძურის და ვებების ზღვას, რომელსაც არასოდეს საძრავი არც მისცემია და, მგონია, არც მიეცემა. მთელი უბნებია მოწამლული ამათგან აყროლებული ჰაერისაგან და ავადმყოფობაც ასე საშიშრად ედება ხოლმე იმ უბნებს, სადაც ეს სიბინძურის სადგურები არიან გამართული. არ იქნება ურიგო, თვითონაც ყურადღებას მიაქცევდნენ ამ გარემოებას ქუთაისის „სენატორები“.

პრესსა

„პეტერბურგ. ვედომ.“-ში ვკითხულობთ ს. ი—ს მოგონებას გარდაცვალებულის ნ. ი. ილმინსკის შესახებ. ეს ილმინსკი შესანიშნავი და ჩვენს დროში იშვიათი ადამიანი ყოფილა.

ის იყო ყაზანის სასულიერო აკადემიის პროფესსორი. ყაზანის გუბერნიაში და, საზოგადოთ, აღმოსავლეთ რუსეთში ბევრი უცხო ხალხი ცხოვრობს: თათარი, კალმიკი და სხვა. ამიტომ იქ ძალიან გავრცელებულია მისიონერობა. პროფ. ილმინსკიც გაუტაცნია სამისიონერო საკითხებს და ამ საქმის შესახებ ბევრიც უწერია, ბევრიც უქადაგნია. ის მხურვალედ მისცემია უცხოთა განათლების საქმეს, მაგრამ მედგარი მტერი გამხდარა ყოველგვარ ძალ-მომრეობისა და ძალ-დატანებისა. მისიონერები არავითარ საშუალებას არ ზოგავდნენ ქრისტიანობის გასავრცელებლად და ხშირად ძალას, მოტყუებას, მოქრთამვასაც მიჰმართავდნენ ხოლმე. ილმინსკიმ დაჰგმო ეს სისტემა და აღიარა, რომ უცხოთათვის საჭიროა მხოლოდ განათლება! ამისათვის—კი ჩვენ ნება არ გვაქვსო არც მათ ენას, არც მათ სარწმუნოებას შევეხოთო. პირიქით, ენა თავისი უნდა შეირჩინოს ყოველმა ერმა, ასე გვეუბნება თვით სამღვთო წერილისა და ისტორიის ბეჯითი შესწავლაო; ხოლო ჩვენი სარწმუნოება, ქრისტიანობა, როგორც უფრო მაღალი, უფრო ჭეშმარიტი, ბოლოს თავისთავად გაიმარჯვებს მაჰმადიანობაზედაც და კერპთთაყვანისმცემლობაზედაცო. ილმინსკი პრაქტიკულადაც ასრულებდა თავის მოძღვრებას: გაიხადა პროფესსორის სამოსელი, ჩაიცვა თათრის ტანისამოსი და დადიოდა სოფლიდან სოფელში; თათრულად მშვენიერად ლაპარაკობდა და სწერდა და ამიტომ ადვილად უახლოვდებოდა მკვიდრთ, ურიგებდა მათ თათრულ წიგნებს, ასწავლიდა, უქადაგებდა და სხვა; მრავალი თხზულება მან თვითონ დასწერა თათრულად. ცხოველის და ნამდვილის სიყვარულით უყვარდა ღარიბ-ღატაკი და შევიწროებული მკვიდრნი და ავრცელებდა მათში სწავლას მათის ეროვნებისა, ენისა და ხასიათის შეულანძღავად და შეუგინებლად.

მოგონებათა ავტორის სიტყვით, არა რუსთა შორის სწავლა-განათლების გავრცელებისათვის ილმინსკი საჭიროდ სთვლიდა შემდეგ საშუალებათ:

1) უნდა დაარსდეს სახალხო სკოლები, რომლებშიაც სწავლა უთუოდ ადგილობრივ ენაზე უნდა იყოს და მასწავლებლებიც მკვიდრთაგან უნდა იყვნენ; 2) ადგილობრივ ენაზე უნდა გადაითარგმნოს სამღვთო წერილი და სხვა საჭირო წიგნები; 3) ღვთის მსახურება უთუოდ ადგილობრივ ენაზე უნდა სწარმოებდეს; 4) სამღვდელოება ადგილობრივ მცხოვრებთაგან უნდა შესდგეს.

ამრიგად ვხედავთ, რომ ილმინსკის მოძღვრებაცა და სამისიონერო მოღვაწეობის სისტემაც ძალიან განსხვავდება იმ ქადაგებისაგან, რომელიც ხშირად გვესმის ხოლმე ზოგიერთ ახლანდელ მოღვაწეთაგან.

⁂

ამ დღეებში, როგორც მკითხველებს უკვე ვაცნობეთ, დაარსდა განსაკუთრებული კომიტეტი, რომელმაც უნდა განიხილოს სოფლის მეურნეობა-მრეწველობის გაჭირვებანი და გამოსძებნოს საშუალებანი მეურნეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ფინანსთა მინისტრი, ხოლო წევრებად—შინაგან საქმეთა, მიწად-მოქმედების მინისტრები და სხვა წარჩინებულნი მოხელენი. „ნოვ. ვრემია“-ს სიტყვით, ამგვარ კომიტეტის დაარსებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პეტერბურგში. ყველა მოუთმენლად ელოდა, რომ მთავრობა ყურადღებას მიაქცევსო სოფლის მეურნეობის დაქვეითებას და ამიტომ ყველა სიხარულით ეგებება ახალს ღონისძიებასაო.

მართლაც, სოფელი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა, განსაკუთრებით უკანასკნელ 10—12 წლების განმავლობაში. რუსეთის ზოგიერთ ადგილას შიმშილობა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა; სოფლის მცხოვრებთა შორის პროლეტარიატი თან-და-თან იზრდება. ეს მოვლენა თვით ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა თავის უკანასკნელს უქვეშევრდომილეს მოხსენებაში და იქვე აღნიშნა კიდეც ამ სამწუხარო გარემოებათა მთავარი მიზეზი. როგორც მინისტრი ამბობს, რუსეთის ეკონომიური ცხოვრება თვალსაჩინოდ იცვლება: ნატურალური მეურნეობა ადგილს უთმობს კაპიტალისტურს, ხოლო ასეთი ცვლილება ყოველთვის იწვევს სოფლის ეკონომიურს ცხოვრებაში დიდ კრიზისსა და პერტურბაციას. თუ ამ საზოგადო კანონის მიხედვით

იცხოვროსო. საზაფხულოდ თეკლემ სააგარაკოდ წასვლა განიძრახა. ბევრი ემუდარა, ბევრი ეხვეწა იოსები თავის ცოლს, დაანებე მაგ განზრახვას თავი, ჩვენ ღარიბი ხალხი ვართ, აგარაკები რა ჩვენი საქმეა, ჩემი სოფელიც კარგს მასპინძლობას გაგვიწევსო, მაგრამ თეკლეს ვერაფერი შეასმინა: აგარაკები თეკლეს ბევრს ახალის სიამოვნების იმედებს ულვიძებდნენ. ძალა-უნებურად დასთანხმდა იოსები თავის მეუღლეს და გაემგზავრა თავის ოჯახით ერთ-ერთის სააგარაკო ადგილას ზაფხულის გასატარებლად. აქ, ამ მოხდენილს საზაფხულო ადგილებში, სანდომიძემ ველარ მოითმინა თეკლეს წრეს გადაცილებული სითამამე, ველარ გაუძლო იმ მითქმა-მოთქმას, რომელიც მიწასთან ასწორებდა მისის ოჯახის პატიოსნებას და ერთის ხელ-მოუწერელ ბარათის მიღების შემდეგ ჩუმ-ჩუმად გაადევნა თვალი თავის ცოლს. იოსებმა დილა ადრიან დასტოვა სახლი, ვითომც გასასეირნებლად სადღაც გაეშურა, მაგრამ მალე უკანვე მოტრიალდა და თეკლეს საწოლ ოთახში შეიჭრა. ჩვენს გმირს აქ თავ-ზარ დამცემი სურათი დახვდა, იმისი თეკლე და ვიღაც უშანგი ერთმანეთს ეხვეოდნენ.—სანდომაძემ ვერ მოითმინა ეს სირცხვილი და გაშმაგებულმა მის პატიოსნების შემლახველთ სკამი ესროლა... ამით დასრულდა იოსების ცოლთან ერთად ცხოვრება. თეკლე სამშობლოში წავიდა, დედმამასთან, იოსებმა კი კვლავინდებურად მარტო იწყო ცხოვრება. დანაღვლიანებულს სანდომიძეს ეხლა კი მოაგონდა სათნოიანი სახე თეკოსი, მოაგონდა იმისი მადლიანი შავი თვალები, მოაგონდა თავისი უდროოდ გულში ჩამარხული სიყვარული, მაგრამ გვიან-ღა იყო.—თეკლესი იმან აღარც გზა იცოდა, აღარც კვალი. ჩვენის გმირის გულში თან-და-თან მწუხარებამ და ნაღვლიანობამ დაისადგურა. იოსებმა დარდის გასაქარვებლად ღვინის სმას მიჰყო ხელი და ბოლოს ჭკვიდამ შეიშალა. იმის დაავადმყოფებულს წარმოდგენას ხშირად მოეჩვენებოდა ხოლმე უდროოდ და უბრალოდ დაკარგულის ახალგაზრდურის სიყვარულის საგანი, თეკო, რომელიც იოსებს ფანჯარისაკენ იტყუილებდა და იქ კი უეცრივ ჰქრებოდა. იოსებმა ბევრჯელ დააპირა ამ ჩვენებას მიჰყოლოდა უკან და თითონაც ფანჯრიდამ გადამხტარიყო, მაგრამ ოდნავ შერჩენილი კეთილ-გონიერება ჯერ კიდევ ხელს უჭერდა. იმისი ავადმყოფობა თან-და-თან გაძლიერდა და ერთს დღეს გაზეთში გამოაცხადეს, მასწავლებელი იოსებ სანდომიძე მესამე სართულის ფანჯრიდამ ძირს ჩამოვარდა და დაიმსხვრაო. ამით დასრულდა ცხოვრების ნიჭს მოკლებულის იოსების სიცოცხლე.

ბ. ბარნოვის მოთხრობას, როგორც წინადვე ვთქვით გაკვრით, ფაქტების ხელოვნური და პოეტური გადმოცემა არ ამშვენიერებს. თუმცა ამ ბელლეტრისტს არც შრომა დაუზოგია, არც მეცადინეობა მოთხრობის გასამშვენიერებლად, თუმცა ბ. ბარნოვს თითქოს თავის მოთხრობის ყოველივე სიტყვა აუწონ-დაუწონია და მხოლოდ ისე ჩაურთავს ის მოთხრობისათვის, მაინც, საუბედუროდ, ამ მოთხრობას თავისუფალის ნიჭის ხალვათი ენის მოძრაობა და კილო აკლია. გარეგანი მხარე მოთხრობისა სუსტია და ეს მით უფრო გვაღონებს ჩვენ, რომ იმისი შინაარსი სამაგალითოა და ფრიად საგულისხმიერო. არც ერთი განათლებული ქართველი კაცი არ წაიკითხავს ამ მოთხრობას ისე, რომ თავის საკუთარს გულში არ ჩაიხედოს, თავისი თავი არ დაუპირდაპიროს სანდომიძეს და არ შეუფარდოს იმას. ბ. ბარნოვმა პირველმა დაასურათა ჩვენს მწერლობაში ინიციატივა მოკლებული ქართველი ინტელიგენტი და საკმაოდ სამართლიანი ფსიხოლოგიური ნიადაგი მისცა ამ ტიპს. გარკვეულის იდეალების უქონლობა, ზოგადის და ფართო აზრებით უთავბოლო გატაცება, ჩვენის ცხოვრების უცოდინარობა—ყველა ამან შეჰქმნა ჩვენს ცხოვრებაში სანდომაძეები, რომელთაც ყოველის მხრივ პატიოსნება და სინიდისიერება ეტყობათ, მაგრამ პატიოსნება უმოქმედო, უშინაარსო და უნაყოფო. დაძაბუნებული ადამიანის ბუნება, ცხოვრების ტყვედ გამხდარის კაცის გული მუდამ პატიოსანია იმ მხრივ, რომ არავითარს ბოროტებას არ მიაყენებს სხვას, შეიძლება სხვას სიკეთე არ მოუტანოს, მაგრამ ვნებას მაინც არ მისცემს. პირადად ჩვენ ისე ვფიქრობთ, რომ ბოროტი ბუნება ბევრად უფრო მაღლა სდგას უენერგიო კეთილ ბუნებასთან შედარებით. ბოროტებასთან ბრძოლა შეიძლება, ის ჩამალული და უჩინარი არ არის, ის იბრძვის, ჰმოქმედობს, ცხოვრების სარბიელზე თავის კვალს სტოვებს, იმას ყველგან სიცოცხლის ნიჭი ეტყობა და, როდესაც მიმართულება შეეცვლება, კეთილს საქმესაც ისე ენერგიულად გააკეთებს როგორც წინად ავს საქმეს მისდევდა. უენერგიობა კი სიცოცხლითვე სიკვდილია, იმასთან არც ბრძოლა შეიძლება და არც მეგობრობა. უენერგიო კაცი ადვილად ასრულებს საზოგადოებაში ერთხელ და ერთხელ დამკვიდრებულ ზნეობის სხვა-და-სხვა მოთხოვნას, ყურ მოჭრილად მისდევს მათ, თავის დღეში აზრში არ გაიტარებს მათ წინააღმდეგ გამკლავებას და აი სწორედ ამის გამო ვერასოდეს ცხოვრების მიმართულებას ახალს კილოს ვერ მისცეს და ახალს კალაპოტში ვერ ჩააყენებს. ბ. ბარნოვის სანდომიძე დამთავრებული ტიპია და იმის სულიერი ვითარების თან-და-თანობითი გამოაშკარავება მოთხრობაში ავტორს სრულის ზომიერებით აქვს შესრულებული. ჩვენ სიამოვნებით წავიკითხეთ ეს მოთხრობა და მივაქცევთ ჩვენის ბელლეტრისტების ყურადღებას ამ ტიპს, რომელიც ჯერ კიდევ დიდს ხანს იცოცხლებს ჩვენს საზოგადოებაში ჩვენდა სამარცხვინოდ.

ზანგი.

(შემდეგი იქნება)

გავსინჯეთ საქმე, უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლის მეურნეთა ეხლანდელ გაჭირვებათ ბევრს ვერ უშველის ვერავითარი ღონისძიება. შეიძლება მხოლოდ შემსუბუქდეს ხალხის გარდამავალი [illegible] სასტიკი მოვლენა. მაგრამ ამისათვის საჭირო იქნება ბევრგვარი რეფორმა, რომელთა განხილვას საეჭვოა რომ ახლად არჩეული კომიტეტი შეუდგეს. „ნოვ. ვრ.“, თუმცა გრძნობს ამას, მაგრამ მაინც დიდ იმედებს ამყარებს ამ კომიტეტზე. თუმცა „ნოვ. ვრემია“-ს ოპტიმიზმს ვერ ავყვებით, მაგრამ მასთან ერთად არ შეგვიძლია არ მოვისურვოთ, რომ

> „ახლად დაარსებულის კომიტეტის მოღვაწეობა იდუმლად არ სწარმოებდეს; არამედ საზოგადოებამ, რომელსაც ეს საგანი მეტად აინტერესებს, იცოდეს პრესსის შემწეობით ყოველივე, რასაც კომიტეტი მოისაზრებს ან განიზრახავს. თანაგრძნობისა და დახმარების მეტს კომიტეტი არაფერს არ უნდა მოელოდეს საზოგადოებისაგან და ამიტომ საჭიროა მისი მოღვაწეობის ამბები ყველამ იცოდეს და ყველასათვის ცხად იყოს მისი მოღვაწეობა-საქმეების მიმდინარეობა.

რუსეთის ქრონიკა

∝ მოკლე ხანში სახელმწიფო საბჭოს წარედგინება განსახილველად და დასამტკიცებლად პეტერბურგის სამთო ინსტიტუტის ახალი წესდება. პროექტით ინსტიტუტი ორ ნაწილად განიყოფება: ერთი იქნება საკუთრად სამთო განყოფილება, მეორე—საქარხნო.

∝ პეტერბურგის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა გადასცეს ერობას თავად-აზნაურთა მიერ შეწირული 41 ათასი მანათი გლეხების სასარგებლოთ. ამ ფულით ერობამ დახმარება უნდა აღმოუჩინოს გლეხობას სწავლის საქმეში.

∝ საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომთ რუსეთში არ უნდა მიეცეთ სკოლებისა და სამოსწავლო კურსების დაარსების ნება.

∝ რუსეთის სატეხნიკო საზოგადოებამ დააარსა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაავალა შეიმუშაოს პროექტი იმ ღონისძიებათა, რომელთა საშუალებით შეიძლება უზრუნველჰყონ ცეცხლისაგან ნავთის საწყობები.

წერილი სიღნაღიდან

უგზოობასთან ერთად სიღნაღისათვის ერთ ფრიადსა ჭირ-ბოროტო საზრუნავს შეადგენს აბანოს უქონლობა. სისუფთავე-სიფაქიზე აუცილებლად საჭიროა კაცისათვის. ტანთ-საცმლის ხშირად გამოცვლა და სუფთა საცმელი ხელს უწყობს ტანის სუფთად შენახვას, მაგრამ სრულიად გასუფთავება და განწმენდა კი მარტო აბანოში შეიძლება. აბანოში ზოგი მეტის სითბოსაგან, ზოგიც მეხანიკური საშუალებით სუფთავდება კაცი ჭუჭყისა და მტვერ-ოფლისაგან. თბილი წყალი, გარდა სისუფთავისა, კაცს სულის და სხეულის სიმშვიდესაც შესძენს ხოლმე და მის დღიურ მუშაობისაგან მოქანცულ ორგანიზმს აამოქმედებს და თვით-გრძნობიერებას აამოძრავებს ხოლმე. ფიზიკური და გონებითი მუშაობისაგან აღელვებული ნერვებიც ბანაობის შემდეგ ისვენებენ. აბანო ხელს უწყობს კაცს თავისი თავი სუფთად შეინახოს, რაც დიდი საჭიროა ცხოვრებაში. ნამეტნავად საჭიროა აბანო და ბანაობა დღიურ მუშა ხალხისათვის, რომელნიც მუშაობის დროს იღლებიან, ოფლიანდებიან, მტვრიანდებიან და ჭუჭყიანდებიან. აი ამათანა ხალხისათვის აუცილებლად საჭიროა ცხელს წყალში ბანაობა და ამასთანა ცხელს წყალს სად გაიწყობს მუშა ხალხი, თუ არ აბანოში. აი ხომ ასეთი საჭიროა აბანო სისუფთავისა და ჯან-მრთელობისათვის, მაგრამ სიღნაღში მაინც არც ერთი აბანო არ არის. ამის გამართვაზედ არც სცდილობს ვინმე. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ამაზე იზრუნოს ქალაქის თვითმართველობამ და ან თავის ხარჯით, ან საზოგადოების და კერძო პირთა დახმარებით გამართოს ერთი აბანო მაინც.

იმედია, ახლად ამორჩეულნი, რომელნიც დღეს თუ არა ხვალ მაინც იქნებიან მთავრობისაგან დამტკიცებულნი, იზრუნავენ ამაზე, როგორც ერთს უსაჭიროეს ხალხის ჯანმრთელობის საშუალებაზე. ახლა ესღა დაგვრჩომია ვინატროთ, რომ რაც შეიძლება მალე იყვნენ დამტკიცებულნი ახლად არჩეულნი პირნი, ეგებ ამათ მაინც იზრუნონ ქალაქზე და ეს ქუჩები და აბანო მაინც გაგვიკეთონ.

შორეული

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ეს წერილი დამიბეჭდოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში: ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ქართველ სტუდენტების გადასაცემათ მიიღო უცნობისაგან ასი მანეთი. ოდესელი ქართველი სტუდენტები გულითად მადლობას უცხადებენ ამ ფულის გამომგზავნს.

ამხანაგების მონდობილობით სტუდენტი

ან. ჩიჯავაძე.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

29 იანვარი.

პეტერბურგი. პირველი სხდომა უმაღლესად დანიშნულის კომიტეტისა, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს სასოფლო მრეწველობის საჭიროებანი, მოხდება შაბათს, 2 თებერვალს.

ფინანსთა მინისტრის საბჭოს წევრი გოლუბევი კონსტანტინეპოლში წავიდა, რომ ადგილობრივ გაიცნოს რუსეთისა და ოსმალეთის შორის ვაჭრობის საქმე, რადგანაც ახლო მომავალში ვადა გაუდის რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულებას ოსმალეთთან.

შავი ზღვის ნაპირა რკინის გზის გაკეთებისათვის გამოკვლევა დაიწყება მომავალ გაზაფხულზე იმ ანგარიშით, რომ 1903 წელს შეიძლებოდეს რკინის გზის სამხრეთ ნაწილების შენების დაწყება.

ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო საბჭოში წინადადება შეიტანა, რომ გამოიცეს ზოგიერთი წესები გრძელ-ვადიანის და მოკლე-ვადიანი კრედიტის ბანკების მოქმედების განმტკიცების შესახებ.

29 იანვარს ერც-ჰერცოგმა დაათვალიერა ყაზანისა და ისაკის ტაძრები.

29 იანვარს ავსტრ-უნგრეთის საელჩოში გაიმართა საუზმე ერც-ჰერცოგის ფრანც-ფერდინანდის პატივსაცემად. საუზმეს დაესწრნენ სამხედრო მინისტრი, მთავარი შტაბის უფროსი და მე-26-სე დრაგუნთა პოლკის დეპუტაცია.

ირბიტი. დაიწყეს ჩამოსვლა შორეულ ციმბირის ვაჭრებმა. საზოგადოდ ვაჭრობა ნელა იწყება. გადასაზიდი ხარჯი დიდია.

ჩიტა. გადაწყვეტილია, შუამდგომლობა აღძრან, რომ ჩიტაში საქონლის საწყობი დამოჭნა აშენონ.

ბერლინი. გერმანიის ბანკმა დისკონტი დასწია 3½-დან 3%-ზედ.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. სტატს-სეკრეტრის ამხანაგმა ოქსტონმა განაცხადა, რომ ვეი-ხაი-ვეიში მყოფი გარნიზონი გამოწვეულია და ციხის გასამაგრებლად მუშაობა შეჩერებულია, რადგანაც ეს ძალიან ძვირად ჯდება. ამ ადგილს აფიცრებისათვის სანატორია გაიმართება. აზრად არა აქვთ, რომ ქალაქი ჩინეთს დაუბრუნონ, ანუ რომელსამე სხვა სახელმწიფოს დაუთმონ.

ორიოლი. რადგანაც ორიოლის, ელცის და ბოლხოვის სახელოსნო საზოგადოებანი შესდგებიან მხოლოდ ამქრებში დროებით მიღებულ პირთაგან, ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, დაიხუროს ეს სახელოსნო საზოგადოებანი და მათი სამმართველოები.

მოსკოვი. ოლქის სასამართლომ მოისმინა გაკოტრებული საბა მამონტოვის საქმე. ერთი მოვალეთაგანის—ციმბირის ბანკის—რწმუნებულმა განაცხადა, რომ საჩივარსა სპობს, რადგანაც მამონტოვი მოვალესთან მორიგდა; სხვა მოვალეების—ტრეტიაკოვის და საერთა შორისო ბანკის რწმუნებულებმა ითხოვეს, რომ საქმე გადასდონ, რადგანაც მოვალესთან მოლაპარაკება აქვთ. საქმე გადაიდო 12 თებერვლამდის.

ვლადიკავკაზი. საბჭომ ორასი მანეთი გადასდო გოგოლის და ჟუკოვსკის იუბილეის სადღესასწაულოდ.

იაროსლავლი. მთელს რუსეთში უდიდესი წუმწუმის ქარხანა დუნაევისა იწვის.

ვარშავა. ორმა ვარშაველმა და ერთმა დვინელმა ღილების ფაბრიკების პატრონებმა შეადგინეს სინდიკატი და დაადგინეს, გახსნან ღილების ცენტრალური საწყობები პეტერბურგში, მოსკოვში, ვარშავაში და მინსკში.

ვარშავას ახლო არსდება ქალთა სასწავლებელი, სადაც ასწავლიან ხეხილების მოვლას, ხილისა და მწვანილეულობის შენახვას.

ოდესა. საბჭოს წინადადება მიეცა, გოგოლის და ჟუკოვსკის გარდაცვალების ორმოცდა ათი წლის შესრულება აღნიშნოს შემდეგით: გაიხსნას ორი სახალხო სკოლა ხსენებულ მწერლების სახელზე; სახალხო წიგნთ-საცავი-სამკითხველო გოგოლის სახელზე და დაიდგას გოგოლის ქანდაკება ქალაქის ბაღში.

ხარკოვი. ხარკოვის გუბერნატორი თავადი ობოლენსკი პეტერბურგში წავიდა.

30 იანვარი

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდეა ცირკულიარი, რათა თვალყური ედევნოს ნადირობაზე კანონმდებლობის მოქმედების მტკიცე აღსრულებას.

ნიჟნი ნოვგოროდი. ნიჟეგოროდის სამაზრო სასწავლებლის საბჭომ დაადგინა, რომ საერობო სასწავლებლებში 19 თებერვალს გადიხადონ პანაშვიდი იმპერატორის ალექსანდრე მეორის სულის მოსახსენებლად და ეს დღე სწავლისთვის უქმე დღედ დააწესონ და გამართონ საუბარი ამ დღის მნიშვნელობაზე.

კიევი. დნეპრი ყინულისაგან განთავისუფლდა; წყალი თან-და-თან მატულობს.

ირბიტი. ციმბირის საქონელმა დაიგვიანა; მსყიდველები ნელ-ნელა იკრიბებიან.

ჟიტომირი. გუბერნატორს მოუვიდა წინადადება შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან, რომ გაუქმებულ იქმნას სახელოსნო საზოგადოება და მისი სამმართველო; ქონება და თანხა გადაეცემა ქალაქის მმართველობას.

ჩიტა. სასამართლოში აღმოაჩინეს, რომ მწერლად ნამყოფმა სერებრიაკოვმა ყალბის დოკუმენტით მიიღო ადგილობრივ ხაზინიდან 3,700 მანეთი და გუშინ მიიმალა.

მოსკოვი. საგუბერნიო საერთო ეკონომიური საბჭო სასარგებლოდ ხედავს, რომ გაზაფხულზე მცხოვრებთათვის ხორბლის სყიდვა-გაყიდვის შემოღებასთან ერთად მიეცეს ღონისძიება შეამოწმონ ძველი სასწორი ახალი სისტემის სასწორთან, რათა რწმუნება იქონიონ ახალი სასწორისადმი.

გამომცემელი და ერ. რედაქტორი ი. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 29 იანვარს

გექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,90
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,60
ბერლინზე „	[illegible],30
პარიზზე „	37,62½
ბირჟის დისკონტი	5—7%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—

5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	472½ „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	379½, მყიდვ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	287 გაყიდ. (?)
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	88¼ „
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	89¼ „
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.) 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევს 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მომავალ მატარებელით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადებანი

ზ ი ს

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

გვრის მოედანზე, ყაჭანთან

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი ნახშირი.

შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.

ტელეფონი № 754. (წ.).

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ-გარეთ:
1 წლით . . 10 მ.	1 წლით . . 13 მ.
6 თვით . . 6 „	6 თვით . . 7 „
3 „ . . 3 „	3 „ . . 5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ-გარეთ:
1 წლით . . 6 მ.	1 წლით . . 9 მ.
6 თვით . . 5 „	6 თვით . . 7 „
1 „ . . 75 კ.	1 „ . . 90 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატება და „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნებად, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და კონტორა იმყოფება ვანქის დიდ ქ., ტელეფონი № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“

ამერიკული ვაზის სანერგე

მიხრან ალ. ანანოვისა. სადგური რიონი

იყიდება ვაზის რქა

Riparia gl.	p. c.	10 (სამყნობი ძირი)	—p. c.	3 (ნერგი)	—1000 მეტრი.
Rupestris mont	„	14	„ — „	4	„ — „ „
Berlandieri	„	30	„ — „	10	„ — „ „
გიბრიდი ფრანკა პირდაპირი წარმოებელი			. . .	50	„ — „ „

იქვე ისყიდება ღვინისათვის მუხის ახალი ბოჩკები სხვა-და-სხვა ზომისა (5—1)

Дозволено цензурою Тифлисъ, 30 Января 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.